წერილის ნომერი:**47-472229712**
თარიღი: **24/10/2022**

**ადრესატი:**

ირაკლი კუჭავა
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქეთევან სიხარულიძის ანგარიში 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ**

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ჩოხატაური

____

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ქეთევან სიხარულიძე

ს

მაჟორიტარული ოლქის დასახელება:

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფრაქცია ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი : სოციალურ,განათლების კულტურისა და სპორტის კომისია, საფინანს-საბიუჯეტო კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი:

,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს"

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" სიითი წევრი.

საანგარიშო პერიოდი: 2022 წელი

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე) : მორიგი

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 13

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 10

სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: სოციალურ,განათლების კულტურისა და სპორტის კომისია - 9 ; საფინანს-საბიუჯეტო კომისია 10.

2. საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: სოციალურ,განათლების კულტურისა და სპორტის კომისია - 7 ; საფინანს-საბიუჯეტო კომისია - 8.

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -----------------------------------------------------------------------------------------------------------

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ------------------------------------------------------------------------------------------

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა:13

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება:10

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მარტოდ დარჩენილი მოხუცების აღრიცხვა და დახმარება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები : ყველა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტის მხარდაჭერილია ჩემს მიერ.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა ---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 15

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა :180

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:დასაქმების შესაძლებლობა,პენსიის და ხელფასის მატება,დახმარება სოფლის მეურნეობის და სხვა ბიზნესის განვითარებისთვის,ერთჯერადი დახმარება, სოფლის სათემო ცენტრები დაიტვირთოს სხვადასხვა მიმართულებებით, რათა აღნიშნლი ცენტრები იყოს ეფექტიანი და მდგრად,დახმარებაზე ჯანდაცვისა და განათლებისთვის სკოლის ინფრასტრუქტურის მიმართულებით (ბუკისციხე-იანეული).დახმარება საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად,საცხოვრებად დროებითი ფართის უზრუნველყოფისათვის.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): მერიასთან, მის სამსახურებთან და სხვა უფლებამოსილ სტრუქტურებთან ვუშუამდგომლე 80 ზე მეტი მოქალაქის, მათ შორის დადებითად გადაწყდა საცხოვრებელი ფართის დაფინანსება. საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთება 7-8 ერთეული, ერთჯერადი დახმარება. მედიკამენტებისთვის და საოპერაციო დანიშნულებით 45 -ამდე.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: აქტიურად დაკავებული ვარ გურიის ქალთა ორგანიზაციაში, განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში, ჩართული ვარ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში, როგორც აღნიშნული საბჭოს წევრი. ჩართული ვიყავი ადგილობრივი თემების განვითარების პროექტის ფარგლებში( IDM) განხორციელებულ კვლევაში ბუკისციხესა და იანეულში გამოიკითხა 150 ოჯახი.თემში არსებული მდგომარეობისა და სოფლის განვითარების საჭიროების შესწავლის მიზნით.ჩემი ინიციატივით და ორგანიზებით განვახორციელეთ არაერთი სოციალური პროექტი,მათ შორის უფრო მრავალრიცხოვანი იყო საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოდ დარჩენილი მოხუცების მონახულება,მილოცვა და დასაჩუქრება. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში წარმატებით გავიარე ტრენინგი (10 დღე ),,ღვინის ტურიზმი“

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებული შედეგები : გამოკითხვის შედეგად დასახელებული საჭიროებებიდან გამომდინარე რეაბილიტირდა შენობა ბუკისციხის ცენტრში, რომელმაც ხელი შეუწყო მოსახლეების მობილიზებას სათემო ინიციატივების მხარდაჭერას,უნარების განვითარებას,გამოცდილების გაზიარებას, აღნიშნული მრავალფუნქცვიური სათემო ცენტრი ადგილობრივი ხელისუფლების და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: 1. აქტიურად ვიმუშაო მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებით, სხვადასხვა სოციალური დახმარების გაცემის წესის პროექტის მომზადება-დამტკიცებაში. 2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განვითარების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ავტორიზაციის მოსამზადებლად. გასატარებელ ღონისძიებათა აღნუსხვა, საჭირო რეაგირებისთვის . 3. ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ციხე-სიმაგრის ნანგრევების ტერიტორიის შესწავლა და ჩართვა ტურისტულ მარშუტში.

ანგარიშის მომზადების თარიღი : 21.10.2022

ანგარიშის წარდგენის თარიღი 21.10.2022

ხელმოწერა :

ქეთევან სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე